

ბაქო-თბილისი-ჯეიშანის
მილსადენის კომპანია



ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი
ადგილების საერთაშორისო საბჭოს
საქართველოს ეროვნული კავშირი



ICOMOS საქართველო

ტაძრისის მონასტერი,
წმინდა გიორგის
ეკლესიის
რესტავრაცია

ანგარიში

თბილისი 2005

ტაძრისის მონასტერი, წმინდა გიორგის ეკლესიის რესტავრაცია-კონსერვაცია

გრანტის ხელშეკრულება: # G-05-BTC-80165

გრანტის გამცემი:

ბაქო-თბილისი-ჯეიშანის ნავთობსადენის კომპანია (BTC Co)

გრანტის მიმღები და პროექტის შემსრულებელი:

ძეგლებისა და ლირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს
საქართველოს ეროვნული კავშირი (საქართველოს ICOMOS -ის კავშირი)

პროექტის ძირითადი მონაწილეები:

პროექტის დირექტორი და ხელმძღვანელი - მერაბ ბოჭოძე
საველე კოორდინატორი, არქეოლოგი - ლალი ახალაძე
არქეოლოგი - ბაატა გაფრინდაშვილი
ხელოვნებათმცოდნე - ირინე ელიზბარაშვილი
არქიტექტორები - ეთერ მახათელაშვილი
- ლია ბოკუჩავა
- გიორგი გუგეშაშვილი
ინჟინერ-კონსტრუქტორი - გიგლა ჭანუეგაძე
ინჟინერ-მშენებელი - გივი ხურცილავა
უფროსი მშენებელ-რესტავრატორი - გურამ ნაჭუებია
კომპიუტერული დამუშავება - თამაზ ჩხაიძე

ძეგლებისა და ლირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს
საქართველოს ეროვნული კავშირი და პროექტის მონაწილეები მადლობას უხდის ბაქო-
თბილისი-ჯეიშანის ნავთობსადენის კომპანიას.

ასევე მადლობა უველა იმ ორგანიზაციას და პიროვნებას, ვინც ხელი შეუწყო
პროექტის განხორციელებას.

შემადგენლობა

პრეამბულა

პროექტის მიმდინარეობის ანგარიში

დანართი A - ძეგლის მომზადების და უსაფრთხოების სამუშაოების გეგმა

- A -1 ძირითადი საპროექტო ჯგუფი
- A -2 ძეგლის გაწმენდის მეთოდოლოგია
- A -3 სამუშაოების უსაფრთხოების გეგმა
- A -4 ხარაჩოების მოწყობის ნახაზები
- A -5 სამუშაოების დაგეგმვის გრაფიკი

დანართი B - ძეგლის არქეოლოგიური გაწმენდის ანგარიში

- B -1 ანგარიშის ტექსტი და ტაბულების აღწერილობა
- B -2 ტაბულები
- B -3 ლია ფურცელი და მასალის ჩაბარების დოკუმენტი

დანართი C - წინასაპროექტო კვლევა-ფიქსაციის გრაფიკული მასალა

- C -1 გაწმენდის შედეგად გამოვლენილი ნაწილების კროკები
- C -2 გამოვლენილი ნაწილების ანაზომი
- C -3 წინასაპროექტო სამუშაო; ანალოგების მოძიება, სქემები
- C -4 ძეგლის სავარაუდო გრაფიკული რეკონსტრუქცია

დანართი D - რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტი

- D -1 რესტავრაცია-კონსერვაციის არქიტექტურული ნახაზები
- D -2 ფიზიკური სტაბილიზაციის და გადახურვის კონსტრუქციები
- D -3 გადასაწყობი ქვების მარკირების ნიმუშები
- D -4 ტექნიკური რეკომენდაციები დუღაბის მომზადება-გამოყენებაზე
- D -5 პროექტის საბჭოზე დამტკიცების დოკუმენტი

დანართი E - მხატვრულ-ისტორიული ლირებულება და

ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოთა შედეგები

დანართი F - ფოტო ილუსტრაციები

- F -1 მდგომარეობა სამუშაოების დაწყებამდე
- F -2 რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოების პროცესი
- F -3 ძეგლის სახურავის მოწყობის პროცესი
- F -4 მდგომარეობა სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ
- F -5 სარესტავრაციო-სამუშაოების შედეგები

პრეზენტაცია:

ბაქო-თბილისი-ჯეიშანის მილსადენის არეალში არსებული მიწისზედა ძეგლების შესწავლის III ფაზის რეკომენდაციების გათვალისწინებით 2005 წლის 21 აპრილს ბაქო-თბილისი-ჯეიშანის მილსადენის კომპანიასა და საქართველოს ICOMOS-ის კავშირს შორის დაიდო გრანტის ხელშეკრულება ბორჯომის რაიონში მდებარე ტაძრისის მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოების განხორციელების შესახებ.

ხელშეკრულების თანახმად, პირველ რიგში დამუშავდა პროექტის მომზადება-განხორციელების გეგმა და მიმდინარეობის სავარაუდო გრაფიკი. ეს დოკუმენტი შეიცავდა: სათანადო კვალიფიკაციის მქონე საპროექტო ჯგუფის შერჩევას; ძეგლის არქეოლოგიური გაწმენდის მეთოდოლოგიას დანალექი მიწისა და ჩამოცვენილი ქვების მოცილების დაგეგმვით; სამუშაოებისას უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმას და ძეგლის ხარაჩოების მოწყობის ნახაზებს. დოკუმენტი შეთანხმდა ბ-თ-ჯ კომპანიასთან.

პროექტის მომზადება-განხორციელების გეგმის მიხედვით, სამუშაოების განხორციელება დაიგეგმა ორ ძირითად ეტაპად:

I ეტაპით გათვალისწინებული იყო ძეგლის რესტავრაცია-კონსერვაციის საკვლევი-საპროექტო სამუშაოების განხორციელება და ძეგლის არქეოლოგიური გაწმენდის ძირითადი პროცესი;

II ეტაპი ითვალისწინებდა ხარაჩოების აღმართვას, ძეგლის რესტავრაცია-კონსერვაციის ფიზიკური სამუშაოების განხორციელებას, ეკლესიის დამცავი სახურავის კონსტრუქცია-საფარის მოწყობას და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებას.

I ეტაპით გათვალისწინებული - ძეგლის რესტავრაცია-კონსერვაციის საკვლევი-საპროექტო სამუშაოების განხორციელება დაიწყო 22 აპრილიდან. ძეგლის არქეოლოგიური გაწმენდის საველე სამუშაოები სამდლიანი (18-20 მაისი) მობილიზაციის შემდეგ განხორციელდა 21 მაისი - 11 ივნისის პერიოდში.

სამუშაოები მიმდინარეობდა სისტემატიური არქეოლოგიურ-არქიტექტურული ზედამხედველობითა და ფიქსაციით.

გაწმენდითი სამუშაოების შედეგად უფრო ნათლად გამოვლინდა ტაძრის არქიტექტურა და მოცულობა; გამოიკვეთა რაოდენ მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში იყო ნაგებობა, რამდენად რთულ და დიდი მოცულობის საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებას მოითხოვდა ძეგლი.

საველე სამუშაოების პერიოდში შესრულდა ტაძრის ახლად გამოვლენილი კედლების და არქიტექტურული დეტალების ჩახატვა, აზომვა, ფოტოფიქსაცია; ასევე გაწმენდის შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალის ფიქსაცია.

გამოვლენილი მასალა, მისი გამოხაზვისა და ანალიზის შედეგები საფუძვლად დაედო ძეგლის კონსერვაცია-რესტავრაციის პროექტის გადაწყვეტას.

21 ივნისს დასრულდა ძეგლის რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტირება.

29 ივნისს მოხდა შესრულებული პროექტის დამტკიცება საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების საბჭოზე; 4 ივლისს პროექტი დამტკიცდა საქართველოს კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სამეცნიერო მეთოდურ საბჭოზე. ორივე საბჭომ პროექტი შენიშვნების გარეშე დამტკიცდა.

21-28 იგნისს ძეგლზე მოეწყო ხარაჩოების სისტემა და კონსერვაცია-რესტავრაციის პროექტის შესაბამისად დაიწყო ფიზიკური სამუშაოები.

ფიზიკური სამუშაოები მიმდინარეობდა შეფერხებების გარეშე უწყვეტი გრაფიკით (თვეში 26 სამუშაო დღე) და დასრულდა 2005 წლის 21 ოქტომბერს სახელოსნოში დამზადებული ლითონით ნაჭედი ხის კარებების ჩაუენებით.

საველე სამუშაოების დაწყებიდან სარესტავრაციო პროცესის დასრულებამდე პროექტის ხელმძღვანელის მიერ დგებოდა სამუშაოების მიმდინარეობის ამსახველი ყოველკვირეული ანგარიშები და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეგზავნებოდა კომპანიის საველე კოორდინატორს და საველე მონიტორებს.

სამუშაოები წარიმართა პროექტის დირექტორის ხელმძღვანელობით, მშენებელინუინრის მითითებებით და არქიტექტორ-რესტავრატორის და არქეოლოგის ზე-დამხედველობით.

სამუშაოებში სისტემატურად მონაწილეობენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები.

სამუშაო პერიოდის მანძილზე სარესტავრაციო პროცესისადმი დიდ დაინტერესებას იჩენდნენ როგორც ადგილობრივი თემის წარმომადგენლები ასევე ბ-თ-ჯ კომპანიის სპეციალისტები.

ივლისის თვეში სარესტავრაციო პროცესი მოინახულეს უცხოელმა ვიზიტორებმა: UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის დივიზიის წარმომადგენლებმა, გენუის არქიტექტურის უნივერსიტეტის იტალიელმა სპეციალისტებმა; სამუშაოების მიწურულს ძეგლი მოინახულა საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ICCROM -ის საერთაშორისო ექსპერტთან ერთად.

ფიზიკური სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, სამუშაოებს და მუშა ჯუფს სისტემატიური ყურადღება ექცეოდა კომპანიის საველე მონიტორების და უსაფრთხოების სპეციალისტების მხრიდან.

სარესტავრაციო სამუშაოების საველე პროცესის დასრულების შემდეგ შესრულდა კამერალური სამუშაოები პროექტის საბოლოო ანგარიშის შედგენისათვის.

საბოლოო ანგარიში შეგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან:

პროექტის მიმდინარეობის ამსახველი ილუსტრირებული ანგარიში

დანართი A - ძეგლის მომზადების და უსაფრთხოების სამუშაოების გეგმა

დანართი B - ძეგლის არქეოლოგიური გაწმენდის ანგარიში ტაბულებით

დანართი C - წინასაპროექტო კვლევა-ფიქსაციის გრაფიკული მასალა

დანართი D - რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტი

დანართი E - მხატვრულ-ისტორიული ლირებულება და ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოთა შედეგები

დანართი F - ფოტო ილუსტრაციები: სამუშაოების დაწყებამდე, მუშაობის პროცესი, დასრულების შემდეგ და რესტავრაციის შედეგები.

მერაბ ბოჭოიძე
პროექტის ხელმძღვანელი

წმინდა გიორგის ეკლესიის კონსერვაცია-რესტავრაცია

პროექტის მიმღების ანგარიში

გრანტის ხელშეკრულება: ტაძრისის მონასტრის კონსერვაციის განხორციელება
გრანტის გამცემი: ბაქო-თბილისი-ჯეიშანის მილსადენის კომპანია
გრანტის მიმღები: საქართველოს ICOMOS -ის კავშირი
გრანტის ნომერი: G-05-BTC-80165

გრანტის ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნა 21.04.2005 წ.

პროექტის დირექტორი და ხელმძღვანელი: მერაბ ბოჭოიძე

I ეტაპი

- თავი I. მოსამზადებელი და საკვლევი სამუშაოები
თავი II. გაწმენდითი და საპროექტო სამუშაოები

II ეტაპი

- თავი III. კონსერვაცია-რესტავრაციის ფიზიკური სამუშაოები

სამუშაოების მიმდინარეობის ანგარიში

I ეტაპი

თავი I. მოსამზადებელი და საკვლევი სამუშაოები

სამუშაო პერიოდი: 22.04.2005 - 03.05.2005

- შეირჩა საპროექტო ჯუფი სათანადო უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების სპეციალისტებისაგან (დანართი A-1, ძირითად საპროექტო ჯუფი).
- შეიკრიბება საპროექტო პერსონალი და დაიწყო უველა შესაბამის ტექნიკური ანგარიშისა და პროექტთან დაკავშირებულ ინფორმაციის განხილვა.
- დამუშავდა ძეგლის გაწმენდის მეთოდოლოგია, ეკლესიის ფასადებისა და მიმდებარე ფართობის არქეოლოგიური გაწმენდის თანმიმდევრობა; დანალექი მიწისა და ჩამოცვენილი ქვების მოცილების გეგმა (დანართი A-2).
- დამუშავდა სამუშაოებისას უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმა (დანართი A-3).
- შედგა სამუშაოების დაგეგმვის გრაფიკი (დანართი A-5).
- დამუშავდა ძეგლის მომზადების და ხარაჩოების მოწყობის ნახაზები (დანართები A-2, A-4).
- 3 მაისს ზემოთ ჩამოთვლილი მასალები გადაეცა ბ-თ-კ კომპანიას შეთანხმებისათვის.

სამუშაო პერიოდი: 04.05.2005 - 11.05.2005

- დასრულდა პროექტთან დაკავშირებულ ინფორმაციის და უველა შესაბამისი ტექნიკური ანგარიშის განხილვა.
- გაკეთდა განაცხადი საქართველოს არქეოლოგიური კომისიის სახელზე და გადაეცა შესაბამისი დოკუმენტაცია ძეგლზე გაწმენდითი სამუშაოების ნებართვის (ლია ფურცელი) მიღებისათვის.
- ხელოვნებათმცოდნები დაიწყო ძეგლის ისტორიულ კონტექსტზე მუშაობა და ანალოგიების მოძიება.
- არქიტექტორებმა დაიწყეს წინა საპროექტო სამუშაოები; კერძოდ: ძეგლის ანლოგიების გაცნობა, პარალელების გავლება და ანალიზი. ძეგლის თავდაპირველი სახის წარმოდგენისათვის დაიწყო მის გრაფიკული რეკონსტრუქციაზე მუშაობა.

სამუშაო პერიოდი: 12.05.2005 - 19.05.2005

- დაიწყო ძეგლის რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტზე მუშაობა.
- საქართველოს არქეოლოგიური კომისიის მიერ მიღებულ იქნა სათანადო ნებართვა (ლია ფურცელი) ძეგლზე გაწმენდითი სამუშაოების განხორციელებისათვის.
- 18 მაისს ჩაირიცხა საწყისი თანხა.
- 18 მაისს დავიწყეთ მობილიზაციის სამუშაოები (ადგილზე და ველზე).

- 19-20 მაისს სამუშაო ჯგუფის ორმა წევრმა, საველე კოორდინატორმა - ლალი ახალაიამ და უფროსმა ხელოსანმა გურამ ნაჟუებიამ გაიარა ორ დღიანი სამედიცინო ტრეინინგი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სასწავლო ცენტრში.



სამუშაო პერიოდი: 20.05.2005 - 27.05.2005

მიმდინარეობს ძეგლის რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტზე მუშაობა; (ხდება ძეგლის არსებული მდგომარეობის ანალიზი, ძირითადი ქრონოლოგიური ფენების გამიჯვნა, გრაფიკული რეკონსტრუქციის წარმოდგენა და ნახაზებზე მუშაობა).

20 მაისს დასრულდა ძირითადი მობილიზაციის სამუშაოები ველზე გასვლის და გაწმენდითი სამუშაოების განსახორციელებლად.

თავი II. გაწმენდითი და საპროექტო სამუშაოები

21 მაისს სამუშაო ჯგუფი გაემგზავრება სოფელ ტაძრისში და დაბინავდა.

22 მაისი

- გვქონდა შეხვედრა ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან (სოფლის გამგებელთან და საკრებულოს ხელმძღვანელთან), დავათიქსირეთ ჯგუფის მოსვლა და კიდევ ერთხელ გავაცანით მუშაობის მიზანი; ამ შეხვედრას ჰქონდა დადებითი რეზონანსი და სოფლის წარმომადგენლებიდან გამოიხატა მადლიერება ეკლესიის კონსერვაციის დაწყებისათვის;
- ძეგლზე ამოვიდა კომპანიის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ჩაგვიტარა ტრეინინგი უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით;
- დაიწყო ძეგლის გაწმენდითი სამუშაოები: მოიჭრა ის ხეები, რომლებიც აზია-



ნებდა და საფრთხეს უქმნიდა ძეგლს (ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში და ჩრდილოეთის მხარეს). მოჭრილი ხეები დაიჭრა და გაისხეპა; წვრილი ტოტები მოშორებით ცალკე დაიწყო; ხოლო მსხვილი ტოტები, ძეგლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში შემოეწყო მიმდებარე ტერიტორიას ისეთი კონსტრუქციით, რომლის საშულებით ავიცილებთ მოჭრილი მიწის არასასურველ მიმოფანტვას და ხელს შეუწყობს ძეგლის გარშემო სასურველი ბაქნის შექმნას;

- შეკეთდა ტერიტორიაზე არსებული ხის სამეურნეო ნაგებობა, მოეხსნა დამპალი და დაშლილი ხის სახურავი, გაუძლიერდა გადახურვის კონსტრუქცია და გადაეფარა ტენტის საფარი დროებითი სარგებლობისათვის. მოწესრიგდა და დასუფთავდა ნაგებობის ინტერიერი;



23-24 მაისი

- დაიწყო ძეგლის გასუფთავება ირგვლივ მიმობნეული და დახვაცებული სხვადასხვა ზომისა და კატეგორიის ქვებისაგან, ამ პროცესის დროს ხდება მათი გადახარისხება და გადატანა ტერიტორიიდან ოდნავ მოშორებით.
- მოვნიშნეთ ძეგლის პერიმეტრზე აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს პირველ რიგში გასაწმენდი ტერიტორიის მონაკვეთი და დავიწყეთ დანალექი მიწის მოჭრის სამუშაოები. ამოსული ქვები თავისი კლასიფიცირების მიხედვით გადაიწყობა სათანადო

მხარეს, ოდნავ მოშორებით; მოჭრილი მიწა ჩაიყარა ჩაღრმავებულ ადგილებში, წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით.

- ამონიტირკა მოჭრილი ხის ფესვები, წინასწარი მომზადების (მიწის მოხსნისა და ფესვების შეჭრის) შემდეგ.

25-26-27 მაისი

- მიმდინარეობს ძეგლის პერიმეტრზე აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ მხარეს გაწმენდითი სამუშაოები დასახული გეგმის მიხედვით;



- ძეგლის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს გამოჩნდა რამოდენიმე კედლის საპირე ქვა რომელიც დაფიქსირდა და გადატანილი იქნა იმავე მხარეს, ოდნავ მოშორებით. ძეგლის დასავლეთის მხარეს გამოჩნდა სამარხები (სამი სამარხი) რომელიც არქეოლოგიურად დამუშავდა და გადატანილი იქნა უსაფრთხო ადგილას.

სამუშაო პერიოდი: 28. 05. 2005 - 04. 06. 2005

კამერალური სამუშაოები:

- მიმდინარეობს ძეგლის რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტზე მუშაობა; (გრაფიკული რეკონსტრუქციის პროცესში გამოხაზვა და მის საფუძველზე კონსერვაციის პროექტის შესრულება). პროექტირება ვითარდება საველე სამუშაოებიდან ახლად გამოვლენილი მასალების და დაზუსტებული არქიტექტურული ანაზომებისა და ფოტოფიქსაციის შედეგებით.
- ეკლესიის ბათქაშის ანალიზის ჩატარებისათვის ბათქაშის ნიმუშები გადაეცა მასალათა ტექნოლოგის.

საველე სამუშაოები:

- დასახული გეგმის მიხედვით გრძელდება ძეგლის გაწმენდა, სამხრეთ-აღმოსავლეთით, სამხრეთის მხარეს და ჩრდილოეთის ნავის შიდა სივრცეში, ასევე იწმინდება ჩახერგილობისაგან და მიწისაგან ეკლესიის ინტერიერი;
- გაწმენდის დროს ძეგლის აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეს გამოჩნდა რამოდენიმე კედლის საპირე ქვა და არქიტექტურული დეტალების ქვები, რომელიც დაფიქსირ-

და არქიტექტურულად და ფოტოთი და გადატანილი იქნა ოდნავ მოშორებით.

ძეგლის ინტერიერი ძირითადად ყორე ქვის ჩახერგილობით და დანალექი მიწით იყო დაფარული; გაწმენდის შედეგად გამოვლინდა იატაკის დონე და მისი ხასიათი.



სამუშაო პერიოდი: 05. 06. 2005 - 11. 06. 2005

კამერალური სამუშაოები:

- მიმდინარეობს ძეგლის რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტზე მუშაობა

საველე სამუშაოები:

- შესრულდა ძეგლის გაწმენდა ძირითდად ტაძრის სამხრეთის მხარეს, ამ უბნებში მოგვიხდა საკმაოდ დიდ სიღრმეზე დანალექი მიწის მოჭრა, როგორც სამხრეთის ნავის შიდა სივრცეში ასევე მის გარეთაც.
- ამ მონაკვეთში მიწის სამუშაოების დროს ამოვიდა საკმაოდ ბევრი მასალა, ძირითად სხვა და სხვა პერიოდის კრამიტის ნატეხების სახით; ასევე გამოჩნდა რამოდენიმე კედლის ქვა.
- დასრულდა გაწმენდითი სამუშაოები ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს; ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან მდებარე საფლავის ქვა დაიწია ცოკოლის დონემდე.
- იატაკის დონის დამატებითი დაზუსტებისათვის შესრულდა ორი შურფი ტაძრის ინტერიერში; ერთი დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ხოლო მეორე აბსიდის ჩრდილოეთ ნაწილში; შურფების მეშვეობით დადასტურდა იატაკის დონეები.
- სამუშაოების ბოლოს, იმ მიზნით რომ არ მოხდეს წვიმის წყლის დაგუბება ძეგლის გარშემო, შესრულდა გაწმენდილი ტერიტორიის საკონტროლო დამუშავება - ჰირიზონტალური დაგეგმარება.
- 11 ივნისს დასრულდა ძეგლის გაწმენდითი სამუშაოების ძირითადი ეტაპი;



გაწმენდითი სამუშაოების შედეგად უფრო ნათლად გამოვლინდა ტაძრის არქიტექტურა და მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი მოცულობა; ასევე გამოიკვეთა შესასრულებელი საკონსერვაციო სამუშაოების მოცულობა და რაოდენობა; კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა თუ რაოდენ მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში არის ნაგებობა და რამდენად რთულ და დიდი მოცულობის საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს ძეგლი.

საველე სამუშაოების პერიოდში შესრულდა ტაძრის ახლად გამოვლენილი კედლების ჩახატვა და აზომვები, მათი ფოტოფიქსაცია; გაწმენდის შედეგად გამოვლენილი ქვების, არქიტექტურული დეტალების და არქეოლოგიური მასალის ფიქსაცია და მარკირება.

გამოვლენილ მასალაზე დაყრდნობით, მისი გამოხაზვისა და ანალიზის შედეგები საფუძვლად დაედო ძეგლის საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროექტის გადაწყვეტას რომლის მიხედვითაც განხორციელდება ფიზიკური რეაბილიტაციისა და კონსევაციის პრაქტიკული სამუშაოები.

სამუშაოები ხორციელდებოდა პროექტის დირექტორის და მშენებელ-ინჟინრის მითითებებით და სისტემატიური არქეოლოგიურ-არქიტექტურული ზედამხედველობით.

ფიზიკურ სამუშაოებში მონაწილეობდნენ როგორც ორგანიზაციის, ასევე ადგილობრივი თემის წარმომადგენლები.

გაწმენდის მიმდინარეობის პროცესში სისტემატიური ყურადღება გვექცეოდა კომპანიის საველე მონიტორების მხრიდან; მათი დახმარებით ველზე მუშაობისას წამოჭრილი სხვადასხვა საკითხები თანამდებობის მიზანით გადასახლდებოდა.



II ეტაპი

თავი III. კონსერვაცია-რესტავრაციის ფიზიკური სამუშაოები

სამუშაო პერიოდი: 13. 06. 2005 - 20. 06. 2005

კამერალური სამუშაოები:

- ძეგლის გაწმენდის სამუშაოების დასრულების შედეგად, ძეგლის ახლად გამოვლენილი კედლების და არქიტექტურული დეტალების საველე ჩანახატები (კროკები) გამოიხაზა მაშტაბში და მოხდა მათი ანალიზი. დაზუსტებული არქიტექტურული ანაზომების მიხედვით რესტავრაციის პროექტირების პროცესში მოხდა გარკვეული დაზუსტებები.
- ძეგლის სახურავის კონსტრუქციული ნაწილის შესასრულებლად მიეცა დავალება კონსტრუქტორს და გადაეცა არქიტექტურული ნახაზები.
- შესრულდა ეკლესის ბათქაშის ნიმუშების ანალიზი მისი შემადგენლობის დადგენისათვის და ტექნოლოგიური რეკომენდაციები დუღაბის მომზადებისათვის (დანართი D-4).
- მიმდინარეობს მობილიზაციის სამუშაოები ძეგლზე ხარაჩოების მოწყობისათვის და საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებისათვის (14-16 ივნისი).
- 17 ივნისი - სამუშაო ჯგუფი გაემგზავრა ტაძრისში და დაბინავდა.

საველე სამუშაოები: 18 ივნისი - 20 ივნისი

- ძეგლზე ამოვიდა კომპანიის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ჩაატარა ტრეინინგი ხარაჩოების მოწყობის შესახებ. იგი გაეცნო ხარაჩოების მოწყობის ნახაზებს და დადგებითი შეფასება მისცა მას; ტრეინინგის პროცესში მოგვცა საინტერესო რჩევები და მითითებები.
- შესრულდა ძეგლის სამხრეთის კედლის ქვების მარკირება (დანომრვა) როგორც კედელზე ასევა ნახაზზე და შემდეგ დანომრილი, ძალზედ მორყეული ქვების ჩამოხსნა და დალაგება იქვე უსაფრთხო ადგილას; ქვების ჩამოხსნის შემდეგ ზედაპირულად გაიწმინდა ეს ადგილები მცენარეებისაგან, დალექილი მიწისაგან და გამოფიტული ბათქაშისაგან.
- შესრულდა ძეგლის დანარჩენი ფასადების გამოფიტული ქვების მარკირება ნახაზზე (შემდგომ ეს წომერაცია გადავა კედელზე).
- დაიწყო ძეგლის ქვების შერჩევა და ქვის მთლელის მეშვეობით წინასწარული დამუშავება (ზედაპირ - გვერდების ხელით გათლა). დამუშავებისას ვიუენებთ ელექტრო ხელსაწყოებსაც.



- დაიწყო ხარაჩოების აგება შეთანხმებული ნახაზების მიხედვით; ხარაჩოების აგება დავიწყეთ დასავლეთის ფასადიდან.
- ძეგლის აღმოსავლეთის ფასადის წინ გაიწმინდა ტერიტორია, მოსწორდა და მომზადდა სამშენებლო ბაქნად.
- ამონძირება ძეგლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ამოსული დიდი ხის კუნძი; ამისათვის ეს ადგლი ჯერ კარგად გაიწმინდა და დამუშავდა ხელით, შემდეგ გასუფთავებულ ადგილებში მაქსიმალურად ჩაიჭრა ფესვები, რითაც შესუსტდა ხის ფესვები და მათი კავშირები კედელთან, შემდგომ ფესვებშეჭრილი და შესუსტებული კუნძი მოიხსნა კედლის წყობიდან. (ვინაიდან ამონძირების შედეგად არ დაზიანებულიყო არსებული კედელი ეს პროცესი მიმდინარეობდა ფრთხილად და გრძელდებოდა საკმაოდ დიდხანს).



20 ივნისს ძეგლზე ამოსული იყო კომპანიის კულტურული მემკვიდრეობის საველე კონრდინატორი ქ-ნი დ. ალექსანდრა და საველე მონიტორები. საველე კონრდინატორთან გავარკვიეთ საკითხი ობიექტზე დენის შემოყვანის შესახებ; შევთანხვდით რომ დენს გამოვიყვანდით ჩვენი ძალებით, კომპანიის მოთხოვნის შესაბამისად (სადენი არ უნდა დამაგრდეს მიწის დონიდან 6 მეტრის დაბლა).

ეს პერიოდი დატვირთული იყო ვიზიტორებით. განსაკუთრებით აქტიური მოსვლა და დადებითი დაინტერესება შეიმჩნეოდა ადგილობრივი თემის და კომპანიის მუშაკების მხრიდან.



სამუშაო პერიოდი: 21. 06. 2005 - 28. 06. 2005

კამერალური სამუშაოები:

დასრულდა ძეგლის რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტირება.

შესრულდა შემდეგი დოკუმენტაცია:

- ძეგლის სახელოვნებათცოდნეო კვლევა და ანალიზი, მისი ისტორიული მიმოხილვა და მნიშვნელობა, ანალოგიების მოძიება და მეთოდოლოგიური რეკომენდაციები საკონსევაციო პროექტის დამუშავებისათვის; შესრულებული პროექტის შეფასება.
- ძეგლის გაწმენდითთი სამუშაოების დასრულების შედეგად ახლად გამოვლენილი კედლების და არქიტექტურული დეტალების გამოიხაზვით დაზუსტდა არსებული ნახაზები და სრული სახით გამოჩნდა ძეგლის არქიტექტურა და მოცულობა (დანართი C-2);
- კვლევისა და ანალიზის საფუძველზე შესრულდა ძეგლის თადაპირველი სახის გრაფიკული რეკონსტრუქციის სქემები (დანართი C-4);
- დამუშავდა ძეგლის ფიზიკური სტაბილიზაციის და კონსერვაციის პროექტის არქიტექტურული ნახაზები (დანართი D-1);
- დამუშავდა ძეგლის დაცვითი გადახურვის სისტემა და მისი საინჟინრო-კონსტრუქციული დოკუმენტაცია (დანართი D-2);
- შესრულდა ძეგლის თავდაპირველი ბათქაშის ანალიზი - მისი შემადგენლობის გარკვევა და ამ ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ბათქაშის დამზადება-გამოყენებისათვის სათანადო კომპონენტების შემცველი რეცეპტისა და მისი დამზადება-მოხმრების ტექნოლოგიის რეკომენდაცია (დანართი D-4);
- შედგა ძეგლის გაწმენდითი სამუშაოების არქიოლოგიური ანგარიში შესაბამისი გრაფიკული მასალის შესრულებით და ფოტოლუსტრაციით (დანართი B);
- შესრულდა დამუშავებული ნახაზების (A-1, A-2 და A-3 ფორმატი) სკანირება ელექტრ-

ულ ვერსიაში და მათი ასლების ამობეჭდვა A-3 ფორმატის ქაღალდზე, შესრულდა პროექტის ტექნიკური გამოშვება (დაკომპლექტება და ალბომად აკინძვა).

საველე სამუშაოები:

მიმდინარეობს სამშენებლო მობილიზაციის სამუშაოები ძეგლზე საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების საწარმოებლად; კერძოდ:

- ამ პერიოდში მოხდა ტრადიციული მჟიდა მასალის - კირის (ტომრებში გერმეტიულ-ად დაფასოებული) შეძენა და თბილისიდან ტრანსპორტირება ძეგლზე, ასევე აზიდვა ინერტული და სხვა სარესტავრაციო მასალების; მოინახა და მოგროვდა ადგილობრივი ჯიშის სათანადო ქვა ძეგლის კარნიზების და ინტერიერის გათლილი დეტალების დასამზადებლად, მოხდა მათი მიზიდვა ძეგლის ტერიტორიაზე;
- თანხმად კომპანიის წამომადგენლებთან შეთანხმებისა ობიექტზე დენის შემოყვანის შესახებ, პროექტის ფარგლებში ჩვენი ძალებით და რესურსებით ძეგლზე შემოვიყვანეთ დენი; ადგილობრივი მონტიორის მეშვეობით ელექტროსადენი გაიჭიმა ხის ბოძებზე მიწის დონიდან 7-8 მეტრის სიმაღლეზე (კომპანიის მოთხოვნის მიხედვით მილსადენის გადაკვეთაზე ელექტროსადენი უნდა დამაგრებულიყო ხის ბოძზე მიწის დონიდან მინიმუმ 6 მეტრის სიმაღლეზე).
- დასრულდა ძეგლზე ხის არაინვენტარული ხარაჩის აგება შეთანხმებული ნახაზების (სქემების) მიხედვით;
- მიმდინარეობს ძეგლის ქვების შერჩევა და ქვის მთლელების მეშვეობით წინასწარული დამუშავება.
- ძეგლის ფასადების კედლის ქვების მარკირების შემდეგ დაიწყო მორყეული ქვების ჩამოხსნა და დალაგება შორიახლოს, უსაფრთხო ადგილას; ქვების ჩამოხსნის შემდეგ გაიწინდა კედლის ეს ადგილები მცენარეებისაგან, დალექილი მიწისაგან და გამოფიტული ბათქაშისაგან.
- დაიწყო ცენტრალური დარბაზის სამხრეთის კედლის რესტავრაცია დანომრილი, ძველი ქვების გამოყენებით.



სამუშაო პერიოდი: 29. 06. 2005 - 05. 07. 2005

კამერალური სამუშაოები:

- 29 ივნისს მოხდა ძეგლის რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტის დამტკიცება საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხუროუმოძღვრებისა და ხელოვნების საბჭოზე.

- 04 ივლისს მოხდა ძეგლის რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტის დამტკიცება საქართველოს კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საბჭოზე, ორივე საბჭოს განხილვისას პროექტი ერთხმად იქნა მოწონებული. (დანართი D-4).

საველე სამუშაოები:

დაიწყო ფიზიკური სამუშაოები ძეგლის კონსერვაცია-რესტავრაციისათვის:

- ძეგლის ფასადებზე დასრულდა მორქეული და გამოფიტული ქვების ჩამოხსნა და დალაგება შორიახლოს; ქვების ჩამოხსნის შემდეგ გაიწმინდა კედლის ეს ადგილები მცენარეებისაგან, დალექილი მიწისაგან და გამოფიტული ბათქაშისაგან, შემდეგ ჩამოირცხა წყლის მეშვეობით;
- ინტერიერში, სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში, წინასწარი დანომვრის შემდეგ, დაიშალა აბსიდის ძლიერ დაზიანებული კუთხე და მასთან მიმდებარე სამხრეთის კედლის დიდი ნაწილის საპირე; ინტერიერის ამ ნაწილში ამოსული ხე მოიჭრა, ხოლო მისი ფესვები, რომელიც განვითარებული იყო კედლის სისქეში ამოღებული იქნა კედლის მასიდან;



- ჩრდილოეთის, დასავლეთის და აღმოსავლეთის ფასადებზე დაიწყო ჩამოხსნილი და გამოფიტული ქვების გასუფთავება-დამუშავება და ისევ თავის ადგილზე დაწყობა კირის ხსნარის მეშვეობით;
- დაიწყო საპირე წყობის აღდგენა ძეგლის ცენტრალური დარბაზის ჩრდილოეთ კედლზე და ჩრდილოეთ ნავზე.
- დაწყებულია მოზიდული ქვის ლოდებისგან ძეგლის კარნიზის ქვების გათლა (ხელის იარაღებით).
- მიმდინარეობს ძეგლის კედლებისთვის ქვების შერჩევა და ქვის მთლელების მეშვეობით მათი შესაბამისი დამუშავება.



2 ივლისს ძეგლზე მუშაობა მოინახულა ვიზიტორებმა - ჭარმომადგენლებმა UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის დღვიზიდან.

სამუშაო პერიოდი: 06. 07. 2005 - 12. 07. 2005

კამერალური სამუშაოები:

- ხდება მიმდინარე საველე სამუშაოების ამსახველი ფოტოფიქსაციის მასალის კომპიუტერში გადატანა, გადარჩევა და მათი დახარისხება.

საველე სამუშაოები:

- ჩრდილოეთის, დასავლეთის და აღმოსავლეთის ფასადებზე თითქმის დასრულდა ჩამოხსნილი და გამოფიტული ქვების გასუფთავება-დამუშავება და ისევ თავის ადგილზე დაწყობა კირის ხსნარის მეშვეობით;
- ინტერიერში, სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში, დაიწყო აბსიდის ძლიერ დაზიანებული კუთხის და მასთან მიმდებარე სამხრეთის კედლის საპირე წყობის აღდგენა წინასწარი დაშლილი და დამუშავებული, ძველი ქვების მეშვეობით;
- დასრულდა კედლის წყობის სამუშაოები ჩრდილოეთ ნავზე;
- მიმდინარეობს საპირე წყობის აღდგენა ძეგლის ცენტრალური დარბაზის ჩრდილოეთ კედელზე, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში და ჩდილო-აღმოსავლეთ ნაწილში;
- დაიწყო ნაკერების შევსების სამუშაოები კირის ბათქაშით ახლად აღდგენილ კედლის წყობაზე (ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილში).



09 ივლისი

- სამუშაო ჯგუფის მიერ რეგიონში მოძიებული და მოგროვილი იქნა ადგილობრივი ჯიშის ქვის ლოდები, რომლებიც დაიტვირთა და ჩაზიდული იქნა სოფელ დვირში, ქვის სახელოსნოში გარკვეულ ზომის ნაწილებად დასახერხად.

11 - 12 ივლისი

- მიმდინარეობს მობილიზაციის სამუშაოები ახალი მასალების (ძირითადად კირი) შეასაკვეთად, ამორტიზირებული აღჭურვლობის ხელახლა შესაძენად და ტრანსპორტის შესაკეთებლად;
- ამ პერიოდში, ბორჯომში იხერხება ქვის ლოდები ძეგლის პილიასტრების და თაღების გასათლელად.

სამუშაო პერიოდი: 13. 07. 2005 - 19. 07. 2005

საველე სამუშაოები:

13 ივლისი

- მოხდა თბილისიდან - კირის შემკრავის კომპონენტების, არმატურის და სხვა მასა-ლების ტრანსპორტირება ობიექტზე, მათი ჩამოცლა და დალაგება ძეგლის ტერი-ტორიაზე, შესაბამის უსაფრთხო ადგილებში. ამ პერიოდში - სამუშაო ჯუფის ერთი ნაწილის მიერ (მშნებელ-ინჟინრის ხელმძღვანელობით - ქვის ხელოსანი, დამხმარე მუშები) მოძიებულ იქნა ადგილობრივი ჯიშის ქვის ლოდები, მოხდა მათი დატვირთვა და ტრანსპორტირება ქვის სახელოსნოში, ძეგლის კარნიზისათვის წინასწარული კვადრების დასამზადებლად.

სამუშაო ჯუფის ძირითადი ნაწილის მიერ გრძელდება ძეგლზე კონსერვაცია-რესტა-ვრაციის სამუშაოები:

- ფასადებზე დასრულდა ჩამოხსნილი დანომრილი ქვების გასუფთავება-დამუშავება და ისევ თავის ადგილზე დაწყობა კირის დუღაბის მეშვეობით;
- მიმდინარეობს საპირე წყობის აღდგენა ძეგლის ცენტრალური ნავის სამხრეთის ფასადურ კედელზე, ხორციელდება კუთხის ქვების დალაგება სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში;
- პარლელურად მიმდინარეობს ნაკერების შევსების სამუშაოები კირის ბათქაშით ახ-ლად გადაწყობილ და აღდგენილ კედლის საპირეზე (ჩრდილოეთ კედელზე).

სამუშაო პერიოდი: 20. 07. 2005 - 26. 07. 2005

- მიმდინარეობს საპირე წყობის აღდგენა ძეგლის ცენტრალური ნავის სამხრეთის ფასადურ კედელზე, ასევე აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადებზე; სამხრეთის ფასადზე მოეწყო სარკმელების ძირისა და წირთხლის ქვები;
- ადგილზე მოინიშნა აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადების ფრონტონის დონე-ები და დახრის ქანობები; დაიწყო მონიშნული ქანობის მიხედვით ქვების დალაგება;
- ბორჯომის რ-ნში, სოფ. დვირში მიმდინარეობს ჩაზიდული ქვის ლოდების დახერხვა ძეგლის პილიასტრების, თაღების და კარნიზების გასათლელად.

სამუშაო პერიოდში ხშირი იქმ ვიზიტორები ადგილობრივი მოსახლეობიდან და სო-ფლად ჩამოსული დამსვენებლების სახით.

სამუშაო პერიოდი: 27. 07. 2005 - 02. 08. 2005

- მიმდინარეობს საპირე წყობის აღდგენა ძეგლის ცენტრალური ნავის სამხრეთის ფასადურ კედელზე; სამხრეთის ფასადზე მოეწყო სარკმელების სათაურის ქვები

(ერთი სათაურის ქვა მოეწყო ძველი ქვისგან, რომელიც ნაპოვნი იქნა გაწმენდისას, ხოლო მეორე -გაითალა ახალი ქვისგან ძველის ანალოგით).

- აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადების ფრონტონებზე მიმდინარეობს მონიშნული ქანობის მიხედვით ქვების დაწყობა კირი ხსნარზე.
- სამხრეთის ნავის აღმოსავლეთ ფასადზე აღდგა სარკმლის წირთხლები და სათაურის ქვა, სათაურის ქვად მოეწყო გაწმენდის პროცესში, ამ ნაწილში ნაპოვნი ძველი სათაურის ქვა, რომელზეც გამოკვეთილია სამი ჯვარი; ეს ქვა გატეხილი იყო შუაზე, რის გამოც ადგილზე მოწყობის დროს მოხდა მისი შეჯერება ნახატის მიხედვით და შემდეგ მორგება-გამაგრება და ბზარების ამოვსება კირის ხსნარით.
- პარლელურად მიმდინარეობს ნაკერების შევსების სამუშაოები კირის ბათქაშით როგორც ახლად აღდგენილ, ასევე ძველი კედლის საპირე წყობებზე (აღმოსავლეთ კედელზე).
- ამ პერიოდში, ქვის სამხერხაოდან ამოტანილი იქნა ერთი ნაწილი დახერხილი ქვის კვადრები ძეგლის პილიასტრების და ინტერიერის გრძივი თაღების გასათლელად.



29 ივლისიდან დაწყო გაწმენდითი სამუშაოების შემდეგი ციკლი ძეგლის დასავლეთ ნაწილში

- საველე კოორდინატორ-არქეოლოგის ზედამხედველობით, პარალელურად საკონსერვაციო სამუშაოებისა, გაგრძელდა ძეგლის გაწმენდა მის დასავლეთ ნაწილში.



28 ივლისს კომპანიის მხრიდან ამოსული იყო გადამლები ჯგუფი, რომელმაც გადაიღო პირველი სიუჟეტი სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ, აიღო ინტერვიუ ადგილობრივი მუშებისაგან.

28 - 30 ივლისს ძეგლზე სარესტავრაციო სამუშაოების მიმდინარეობის მოსანახულებლად სპეციალურად ამოსულები იუვნენ იტალიელი სპეციალისტები: კონსერვაციის ექსპერტი გენუის უნივერსიტეტიდან ჭ-ონი ლუიზა და მარკო და არქიტექტორი ჭ-ონი კლაუდიო სპინელლა. მათ კარგად დაათვალიერეს გარემო და ძეგლი, გაეცვნენ მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებს და დადებითი შეფასება მისცეს პროექტის მეთოდოლოგიურ გადაწყვეტებს და სარესტავრაციო პროცესებს. მათი საუბრებისას აქცენტირებული იყო სურვილები და რეკომენდაციები პატარა ეკლესიის (წმ. მარიამის ეკლესიის) კონსერვაციის მნიშვნელობაზე, რომელიც მიმდინარე სამუშაოების ფონზე უფრო დაჩაგრული გამოჩნდა.

სამუშაო პერიოდი: 03. 08. 2005 - 10. 08. 2005

- დასრულდა საპირე წყობის აღდგენა ძეგლის ცენტრალური ნავის სამხრეთის ფასა-დურ კედელზე;
 - აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადების ფრონტონებზე გრძელდება მონიშნული ქანობის მიხედვით ქვების დაწყობა;
 - მოეწყო არმირებული-ბეტონის სარტყელი ძეგლის ზედა ნაწილებში - სამხრეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებზე;
 - აღდგა ძეგლის ინტერიერში, სამხრეთის კედელზე ორი სარკმელი ნახევარწრიული სათაურის ქვით;
 - ძეგლის ინტერიერში, სამხრეთის კედელზე შეივსო კედლის ჩამონგრეული ნაწილები ახალი ქვებით, მოხდა მორჩეული ქვების ჩამოშლა და ახლიდან მოწყობა;
 - **06 აგვისტოს დასრულდა გაწმენდითი სამუშაოების მეორე ეტაპი ძეგლის დასავლეთ ნაწილში;**
 - **07 აგვისტოს სამუშაო ჯგუფი მოწესრიგებისა და დასვენებისათვის რამოდენიმე დღით წამოვიდა ობიექტიდან, 08-09 აგვისტოს მიმდინარეობს მობილიზაციის სამუშაოები სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგი გასვლის მომზადებისათვის.**
 - **10 აგვისტოს სამუშაო ჯგუფი მოემზადა და გაემგზავრა ტაძრისში სამუშაოების გასაგრძელებლად;**
- ამ პერიოდისათვის ძეგლზე შესრულებულია ფიზიკური სამუშაოების საერთო მოცულობის ნახევარზე მეტი (55-60%).**

სამუშაო პერიოდი: 11. 08. 2005 - 24. 08. 2005

- დასრულდა ფასადების ფრონტონების აღდგენა მონიშნული ქანობის მიხედვით;
- ძეგლის ინტერიერი გაიწმინდა კედლებიდან ჩამოშლილი მიწისა და გამოფიტული ბათქაშისაგან, შენებლობის პროცესში დაგროვილი სამშენებლო ნაგვისაგან და ზედმეტი ქვებისაგან;
- ინტერიერში აღდგა სუფთად გათლილი ქვებით გრძივი კედელის პილიასტრები და ჩრდილოეთის კედლის თაღი;

- ხის კონსტრუქციებით აიგო ნახევარწრიული თარგები და მათი მეშვეობით მოეწყო ქარგილები ძეგლის კონქის თაღისა და კონქის მეოთხედსფეროს აღდგენისათვის;
- ხელით გაითაღა ნახევარწრიული კონქის თაღის ქვები ახალი ქვის კვადრებისგან;
- დაიწყო კარნიზის ქვების გათლა-დამუშავება ახალი ქვის კვადრებისაგან და მათი მოწყობა ძეგლის კედლებზე;
- დაიწყო ძეგლის კონქის თაღისა და კონქის მეოთხედსფეროს აღდგენის სამუშაოები;
- ფასადებზე თითქმის დასრულდა ნაკერების შევსების სამუშაოები კირის ბათქაშით (ამ დროისთვის შესრულებულია კედლების ქვედა ნაწილები).



სამუშაო პერიოდი: 25. 08. 2005 - 04. 09. 2005

- შესრულდა ძეგლის აბსიდის თაღისა და აბსიდის მეოთხედსფეროს აღდგენის სამუშაოები; კერძოდ: ქარგილის მეშვეობით გადაყვანილი იქნა სუფთად გათლილი ახალი ქვებით ნახევარწრიული მოხაზულობის აბსიდის თაღი (მისი რესტავრაციისას გამოყენებული იქნა ინტერიერში ნაპოვნი ორი ძველი ქვა); შემდეგ აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა აბსიდის მეოთხედსფეროს, რომელიც გადაყვანილი იქნა ორ რიგიანი ქვის წყობით. აბსიდის თაღი და მეოთხედსფერო დაკავშირებულია ერთმანეთთან კონსტრუქციული ელემენტებით (ლითონის ანკერები და არმირებული ჩანართები);
- წინასწარ დახერხილი ქვის კვადრებისგან



- დამუშავდა კარნიზის ქვების მორიგი ნაწილი და მოეწყო ძეგლის სამხრეთის კედელზე;
- ინტერიერში შესრულდა პილიასტრებზე დაურდნობილი ნახევარწრიული საბჯენი თაღის საწყისი ქვების გათლა-დამუშავება და დასმა პილიასტრების კაპიტელებზე (სამხრეთის და ჩრდილოეთის მხარეს მოეწყო თითო-თითო მაღალი ქვა);
 - კერძოდ შესრულდა სამხრეთის ნავის აღმოსავლეთ კედლის და სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილის საკონსერვაციო სამუშაოები საკონსერვაციო ფენის მოწყობით; დაიწყო სამხრეთის ნავის დასავლეთ კედლის და სამხრეთის კედლის დასავლეთი ნაწილის კონსერვაციის სამუშაოები;
 - დასრულდა ფასადურ კედლებზე ნაკერების შეცვების სამუშაოები კირის ბათქაშით;
 - ტერიტორიის მოწესრიგებისათვის დაწყებულ იქნა გაწმენდითი სამუშაოები ძეგლის



სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში;

05 სექტემბერს ჯგუფი წამოვიდა რამოდენიმე დღით დასასვენებლად და მოსაწესრიგებლად, ასევე შემდეგი პერიოდის სამუშაოებისთვის მოსამზადებლად.

სამუშაო პერიოდი: 10. 09. 2005 - 16. 09. 2005

- წინასწარ დახერხილი ქვის კვადრებისგან დამუშავდა კარნიზის ქვების მორიგი ნაწილი და მოეწყო ძეგლის აღმოსავლეთ კედლის ფრონტონზე, ახალ ქვებთან ერთად მოეწყო ავთენტური (ძველი) კარნიზის ქვები. ძველი ქვები წინასწარ იქნა გაწმენდილი ძველი ბათქაშისაგან და ხავსისგან.
- დასრულდა ძეგლის სამხრეთის ნავის საკონსერვაციო სამუშაოები მის სამხრეთის კედლის დასავლეთ ნაწილში და დასავლეთ კედლის ფრაგმენტზე, მოეწყო კედლის ზედაპირის საკონსერვაციო ფენა კირის ხსნარისაგან.



- ძეგლის ინტერიერის კედლებზე დაიწყო ნაკერების შევსების სამუშაოები კირის ბათქაშით.
- დაიწყო ხის კოჭების და ძელაკების დამუშავება და მათი მონტაჟი სახურავის კონსტრუქციის მოწყობისათვის.
- მოიხსნა ხარაჩო ძეგლის ჩრდილოეთ მხარეს, გაიწმინდა ეკლესიის ჩრდილოეთ მინაშენი ზედმეტი მიწის ფენისაგან და მომზადდა ზედაპირი ფლეთილი ქვის იატაკის მოწყობისათვის.
- სრულდება გაწმენდითი სამუშაოების ბოლო ეტაპი ძეგლის სამხრეთ მხარეს.



სამუშაო პერიოდი: 17. 09. 2005 - 23. 09. 2005

- დასრულდა ძეგლზე კარნიზების მოწყობის სამუშაო; წინასწარ დახერხილი ქვის კვადრებისგან დამუშავდა კარნიზის ქვების საბოლოო ნაწილი და მოეწყო ძეგლის დასავლეთ კედლის ფრონტონზე, ახალ ქვებთან ერთად მოეწყო ავთენტური (ძველი) კარნიზის ქვები. ძველი ქვები წინასწარ იქნა გაწმენდილი ძველი ბათქაშისაგან და ხავსისგან;
- ეკლესიის ჩრდილოეთ მინაშენში მოეწყო ფლეთილი ქვის იატაკი კირის ხსნარის ფენილზე, ნაკერები შეივსო კირის ხსნარით;
- დასრულდა ძეგლის სამხრეთისა და ჩრდილოეთის ნავის საკონსერვაციო სამუშაოები კედლების ნაკერების დამუშავებით და ზედაპირის საკონსერვაციო ფენის მოწყობით.
- ინტერიერის კედლებზე გრძელდება ნაკერების შევსების სამუშაოები კირის ბათქაშით;
- მოიხსნა ხარაჩო ძეგლის დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეს;
- დასრულდა სახურავის მოწყობისათვის გადახურვის ხის კონსტრუქციების აგება, დაიწყო კონსტრუქციის შეფიცვრა გარანდული ფიცრით; ხის კონსტრუქცია და შეფიცვრა იფარება გამჭვირვალე, ლია ფერის დამცავი ხსნარით;
- გაიწმინდა ეკლესიის სამხრეთის მინაშენი ზედმეტი მიწის ფენისაგან და მომზადდა ფლეთილი ქვის იატაკის მოწყობისათვის;
- ტერიტორიის მოწესრიგებისათვის დასრულდა გაწმენდითი სამუშაოების ბოლო ეტაპი ძეგლის სამხრეთ ნაწილში.



სამუშაო პერიოდი: 24. 09. 2005 - 30. 09. 2005

- დასრულდა სახურავის კონსტრუქციის შეფიცვრა გარანტული ფიცრით (ფიცრებს შორის 2 სმ-ის შუალედია); ხის შეფიცვრა დიფარა გამჭვირვალე, ლია ფერის დამცავი ხსნარით;
- ინტერიერის კედლებზე დასრულდა ნაკერების შევსების სამუშაოები კირის ბათქაშით;
- მოიხსნა ხარაჩო ძეგლის დასავლეთი და სამხრეთის მხარეს და ინტერიერში;
- რესტავრაცია გაუკეთდა დასავლეთის და ჩრდილოეთის კარის ზღურბლებს;
- გაიხსნა ცენტრალური დარბაზის სამხრეთის კარის ქვედა ნაწილის ჩაშენება;
- გამოვლინდა და გაიხსნა სამხრეთის ნავის კარის ლიობი ჩაშენებისაგან, რესტავრაცია გაუკეთდა კარის დასავლეთის წირთხლს და კედლის ფრაგმენტს;
- გაიწმინდა ეკლესიის დასავლეთის ნაწილი და აბსიდა ზედმეტი მიწის ფენისაგან და მომზადდა ფლეთილი ქვის იატაკის მოწყობისათვის;
- გაიწმინდა ეკლესიის დასავლეთის ნაწილი და აბსიდა ზედმეტი მიწის ფენისაგან და მომზადდა ფლეთილი ქვის იატაკის მოწყობისათვის, აბსიდაში ტრაპეზის ქვა დაგწიეთ თავდაპირველ დონეზე (დაიწია 26 სმ-ით);
- აბსიდის ამბიონის დეფორმირებული საფეხურის ქვები დაიშალა და ახლიდან მოეწყო თავდაპირველი კვალების მიხედვით;
- ინტერიერში მოწესრიგდა ცოკოლის ზედაპირი, ნიშების და სარკმლის ძირები კირის ხსნარით;
- დაიწყო იატაკების მოწყობა ფიქალის ქვით ინტერიერის აბსიდაში და სამხრეთის ნავში;
- 25 სექტემბრიდან დაიწყო მუშაობა სახურავის საფარის მოსაწყობად;



მეთუნუქე სპეციალისტების მიერ ქარხნული ტექნოლოგიით დაფერილი თუნუქის ფურცლები, ეკლესიის ტერიტორიაზე დროებით მოწყობილ დაზგაზე, მზადდება შესაბამის მოდულებად და შემდეგ ეწყობა სახურავზე წინასწარ გათლილი ხის ლილვების მეშვეობით; ამ დროისთვის სახურავის საფარის სამუშაოები შესრულებულია ეკლესიის სამხრეთის კალთაზე.



სამუშაო პერიოდი: 30. 09. 2005 - 06. 10. 2005

- დასრულდა იატაკების მოწყობა ფიქალის ქვით ცენტრალური დარბაზის ინტერიერში და ეკლესიის დასავლეთის ნაწილში; დარბაზის ინტერიერში, ისევე როგორც ნავებში, ახალი იატაკის მოეწყო ზუსტად თავდაპირველი იატაკის დონეზე. რამოდენიმე ადგილას შედარებით კარგად შემორჩენილი თავდაპირველი იატაკის მო-


ნაკვეთები შენარჩუნებულ იქნა რომელსაც
შეუერთდა ახალი იატაკი.

- რესტავრაცია გაუკეთდა ცენტრალური დარბაზის სამხრეთის კარის ზღურბლს. ახლად დაგებულ ფიქალის ჭვის იატაკებზე შესრულდა ნაკერების შევსების სამუშაოები კირის ბათქაშით.
- დასრულდა ძეგლის სახურავის საფარის მოწყობის სამუშაოები.
- შესრულდა ძეგლის კარების (2 ხის კარი) ნახაზები და შეკვეთილი იქნა ადგილობრივ ადურგლიონ სახელოსნოში მისი გაკეთება. ასევე შესრულდა, ძეგლის ჩრდილოეთის ნავიდან შესასვლელი ლიობისთვის ლითონის გისოსებიანი კარის ნახაზი;
- 05 ოქტომბერს ჯგუფმა დაასრულა ძეგლის კონსერვაცია-რესტავრაციის სამუშაოები და 06 ოქტომბერს გამოემართა თბილისში.



სამუშაო პერიოდი: 18. 10. 2005 - 21. 10. 2005

- მცირე ჯგუფის მიერ შერულდა სახელოსნოში დამზადებული კარებების (სულ სამი კარი) ტრანსპორტირება ძეგლზე, აწყობა, ნაჭედი ელემენტებით მოჰედვა და ჩასმა შესაბამის კარის ლიობებში. ორივე ხის კარები დიდი დაიფარა ბაიცის ფენით, ხოლო გისოსიანი კარი შეიღება შავი სალებავით.



სამუშაოები განხორციელდა:

პროექტის დირექტორის ხელმძღვანელობით, არქიტექტორ-რესტავრატორის და არქეოლოგის ზედამხედველობით. ფიზიკურ სამუშაოებს წარმართავდა სარესტავრაციო კვალიფიკაციის მქონე მშენებელ-ინჟინერი.

სამუშაოებში სისტემატურად მონაწილეობენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები (2 დამხმარე მუშა, ჭვის სამხერხაოს ორი ხელოსანი, ხის სახელოსნოს სპეციალისტი და ადგილობრივი მასალების მოსაზიდად მძიმე ტრანსპორტის მძღოლი).

ტაძრისის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიის
საკონსერვაციო სამუშაოები
ბორჯომის რ-ნი

ძეგლის მომზადებისა და უსაფრთხოების სამუშაოების გეგმა:

ძირითადი საპროექტო ჯუფი
დანართი - 1.

ძეგლის გაწმენდის მეთოდოლოგია, გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის
გაწმენდის და დანალექის მოცილების გეგმა
დანართი - 2.

სამუშაოებისას უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმა
დანართი - 3.

ძეგლის მომზადების და ხარაჩოების მოწყობის ნახაზები
დანართი - 4.

სამუშაოების დაგეგმვის გრაფიკი
დანართი - 5.

მერაბ ბოჭოძე, პროექტის დირექტორი
ლალი ახალაძა, პროექტის საველე კოორდინატორი, არქეოლოგი
გია ხურცილავა, მშენებელ-ინჟინერი
გიორგი გუგეშაშვილი, არქიტექტორი

ძირითადი სამუშაო ჯგუფი

ძირითადი სპეციალისტები:

ბოჭოიძე მერაბი - პროექტის დირექტორი, არქიტექტორ-რესტავრატორი
ახალაია ლალი - პროექტის საგელე კოორდინატორი, არქეოლოგი
ელიზარარაშვილი ირინე - ხელოვნებათმცოდნე, მეცნიერებათა კანდიდატი
მახათელაშვილი ეთერი - არქიტექტორ-რესტავრატორი
გუგუშვილი გიორგი - არქიტექტორი
ბოკუჩავა ლია - არქიტექტორ-რესტავრატორი
ჭანუქვაძე გიგლა - ინჟინერ კონსტრუქტორი
გაფრინდაშვილი პაატა - არქეოლოგი
ბურკიაშვილი თემური - ბათქაშის ტექნოლოგი
ხურცილავა გიგი - რესტავრაციის მშენებელ-ინჟინერი

ძირითადი ხელოსნები:

ნაჭეულებია გურამი - უფროსი მშენებელ-რესტავრატორი
რუხაძე მურადი - მშენებელ-რესტავრატორი; კალატოზი, დურგალი.
მჭედლიძე გიზო - მშენებელ-რესტავრატორი; ქვის თლის სპეციალისტი.
ირემაშვილი გია - ქვის თლის სპეციალისტი, კალატოზი.
გრიგალაშვილი ბადრი - გადახურვის სპეციალისტი.

დამხმარე ხელოსნები:

ნასყიდაშვილი ალექსანდრე
აქიაშვილი გარდო
აქიაშვილი ლადო
ნანიაშვილი თემური
გრიგალაშვილი გიორგი

ადგილობრივი დამხმარე ხელოსნები:

ჩუტვერაშვილი კუკური
ბეჭერაძე გურამი

ძეგლის გაწმენდის მეთოდოლოგია, გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის გაწმენდის და დანალექის მოცილების გეგმა

ტაძრისის ეკლესის ფასადებისა და მიმდებარე ფართობის

არქეოლოგიური გაწმენდის თანმიმდევრობა

(ძეგლის გაწმენდა იხ. სქემა-1 და სქემა-2).

სარესტავრაციო პროექტის მეთოდურად სწორად მომზადების მიზნით საჭიროა ძეგლის ფასადების ქვედა სტრუქტურების გაწმენდა ცოკოლის დონის ჩათვლით, ასევე გაწმენდის პროცესში გამოვლენილი არქიტექტურული დეტალების ფიქსაცია-ანალიზი.

ძეგლი და მისი მიმდებარე ფართობი გაიწმინდება არქეოლოგის უშუალო ზედამხედველობით, არქიტექტორისა და მშენებელი ინჟინრის მითითებების მიხედვით.

ეკლესის გარშემო ტერიტორია მთლიანად დაფარულია მაღალი ბალახით, ხშირი ბუჩქნარით, ფასადების უშუალი სიახლოვეს ამოსული ასწლოვანი ხეების ტოტებით; ერთ შემთხვევაში ხე ამოსულია ჩრდილოეთ მინაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეზე. ძირითადი ეკლესის ოთხივე ფასადის ქვედა რიგები დაფარულია 120-140 სმ. სილრმის ნანგრევი ფენითა და ნაყარი მიწით. იგივე ფენით არის დაფარული სამხრეთისა და ჩრდილოეთის მინაშენების კედლებისაგან შემორჩენილი ქვედა სტრუქტურები.

1. ეკლესიების გარშემო ოთხივე მხარეს არა უმეტეს 4-5 მეტრისა ამონიტკვება ბუჩქნარი, გაიჩეხება ის ხეები, რომლებიც საფრთხეს უწმინან ან მომავალში შეუქმნიან ეკლესის ფასადებს. ტერიტორია გაიწმინდება 20-30 სმ. კორდოვანი ფენისაგან და ნაყარი ქვებისაგან. თუ ამ ფენაში აღმოჩნდება არქიტექტურული დეტალები, მოხდება მათი მარკირება-ფიქსაცია.
2. აიგეგმება ტერიტორია, გაკეთდება 2 მეტრიანი კვადრატების ბადე. ეს ხელს შეუწყობს კვადრატების ბადის ფარგლებში გაწმენდის პროცესში გამოვლენილი არქიტექტურული დეტალებისა და არქეოლოგიური მასალის (კერამიკა, ლითონი, ძვალი, ხე და სხვა) ზუსტ აღწერა- ფიქსაციას.
3. ეკლესის დასავლეთ ფასადთან კონცენტრირებულია ქვების დიდი რაოდნობა (შესაძლოა ეს ქვები რაღაც პერიდში მოსახლეობის მიერ იუოს გამოტანილი ინტერიერიდან); ამ მონაკვეთის გაწმენდა მოხდება დასვლეთის მიმართულებით არაუმეტეს 6-7 მეტრის მანძილზე, არ არის გამორიცხული, რომ ამ გროვაში აღმოჩნდეს ეკლესის ფასადების დამუშავებული ქვები. ფიქსაცია-მარკირების შემდეგ, ამ მონაკვეთიდან ამოღებული ქვები დალაგდება ეკლესიდან დასავლეთით, შედარებით მოსწორებულ ადგილას. მიწა დაიყრება ჩრდილო-დასავლეთით ხევის პირზე.
4. პარალელურად დაიწყება ეკლესის მიდებარე სამხრეთ მონაკვეთისა და სამხრეთ

მინაშენის კედლების შემორჩენილი ნაწილების წმენდა. ამავე პროცესში გაიწმინდება ძირითადი ეკლესიის სამხრეთი კედელი ცოკოლის ჩათვლით. ამ მონაკვეთში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები ფიქსაცია-მარკირების შემდეგ გადალაგდება ეკლესიის ფასადიდან სამხრეთით უსაფრთხო ადგილზე. ნაყარი მიწა ნაწილობრივ დაიყრება ეკლესიიდან აღმოსავლეთით საშუალოდ 5-6 მეტრის დაცილებით და ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, ჩრდილოეთ მინაშენიდან 2 მეტრის დაცილებით ჩაღრმავებულ ადგილში.

5. შემდეგ ეტაპზე გაიწმინდება აღმოსავლეთ ფასადის მიმდებარე ფართობი 3-4 მეტრის მანძილზე და ჩრდილოეთ მონაკვეთი, ანუ მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის ქვედა სტრუქტურები ცოკოლის ჩათვლით, ასევე ჩრდილოეთ მინაშენის კედლების შემორჩენილი ფრაგმენტები და ინტერიერი იატაკის დონემდე. ამ მხარეს გამოვლენილი ქვები მარკირება-ფიქსაციის შემდეგ გადალაგდება ეკლესიიდან აღმოსავლეთით და დასვლეთით უსაფრთხო ადგილას. მიწა ძირითადა დაიყრება ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩაღრმავებულ ადგილზე.

ამის პარალელურად გაიწმინდება მთავარი ეკლესიის ინტერიერიც იატაკის დონემდე. მიწა ასევე გაიზიდება ჩრდილოეთით.

2003 წელს, მესამე ფაზის სამუშაოების განხორციელებისას, ცოკოლის გამოვლენის მიზნით, ეკლესიის გარედან სამხრეთ-დასვლეთ კუთხესთან, გაიჭრა შურვი; 140 სმ. სიღრმეზე დაფიქსირდა შუასაუკუნეების სამარხი ნაგებობის (ქვაყუთი) სახურავის ქვა.

ზოგადად ეკლესიების ფასადების უშუალო სიახლოვეს სამარხების არსებობა დადასტურებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში სარესტავრაციოდ გაწმენდილ თუ გათხრილ მრავალ ძეგლზე. არის შემთხვევები როდესაც სამარხები (ქვაყუთები ან ორმოსამარხები) დაფიქსირებულია ცოკოლის დონეზე მაღლაც.

არ არის გამორიცხული, რომ მსგავსი შემთხვევა იყოს ამ ძეგლზეც. ამიტომ 130-140 სმ. სიღრმემდე გაწმენდა იწარმოებს წერაქვის, ლომისა და ბარის მეშვეობით. ხოლო ამ ნიშნულს ქვემოთ წმენდა გაგრძელდება მაქსიმალურად ფრთხილად და ფაქიზად - პატარა წერაქვის, თოხის, დანისა და ფუნჯის გამოყენებით.

თუ ჩვენს შემთხვევაში ცოკოლის დონეზე მაღლა დაფიქსირდა სამარხების გარკვეული რაოდენობა, მაშინ, მიღებული პრაქტიკის თანახმად, მოხდება დონეების მიხედვით მათი აღწერა, გრაფიკული და ფოტოფიქსაცია და სხვა, მოხერხებულ ადგილზე გადასვენება. ადგილის განსაზღვრა შესძლებელი იქნება მუშაობის პროცესში. მაქსიმალურად შევეხებით მხოლოდ იმ სამარხებს, რომლებიც ხელს შეუშლიან მთელს პერიმეტრზე ცოკოლის გამოვლენას.

გაწმენდის პროცესში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა კამერალური დამუშავების შემდეგ, სათანადო დოკუმენტაციის თანხლებით გადაეცემა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

ტაძრისის მონასტერი, წმ. გიორგის ეკლესია
ხულის მოძირავებისა და უსაფრთხოების სამუშაოების გეგმა

დანართი A.2
5




ტაძრისის მონასტერი, წმ. გიორგის ეკლესია

ტაძრის მონასტერისა და უსაფრთხოების სამუშაოების გეგმა

დანართი A-2
6

ტაძრისის მონასტერი - წმ. გიორგის ეკლესია
დეგლის ტერიტორიის მოწყობის გეგმა:
საკონსერვაციო ხამუშაოებისთვის

 - გასაწმენდი მოცულობა



სერია - 2

სამუშაოებისას უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმა

სამუშაოებისას უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზანს წარმოადგენს გრანტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უველა სამუშაოს ისე განხორციელება, რომ დაცული იყოს საპროექტო საქმიანობებში ჩაბმული უველა პირის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. პროექტის მონაწილეები დაეკვემდებარებიან საქართველოს კანონ-მდებლობას, დაიცავენ უსაფრთხოების ნორმებს და BTC კომპანიის ოქროს წესებს.

● ძეგლის საკონსერვაციო-სამშენებლო ტერიტორიის მოწყობა ტერიტორიის დროებითი დამცავი შემოლობა

სამუშაოების დაწყების წინ, ძეგლის მიმდებარე ტერიტორია გაიწმინდება მცენარეული საფარისაგან (ბურდები, ბუჩქები, ხეები) და შემდეგ შეიღება დროებითი დამცავი ლობით.

დროებითი შელობვის მოწყობა ნავარაუდევია ხის მასალით; რთული რელიეფის გამო შემოლობა დაგეგმილია ხის ბოძებითა და ჰორიზონტალური სამზოლიანი შელარტუვრით. ლობეზე მოეწყობა ორი კარი (ალმოსავლეთით და დასავლეთი) შესაბამისი მინიშნებით.

სამეურნეო სათავსის მოწყობა

ძეგლის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე დაზიანებული ხის პატარა ნაგებობა შეკეთდება, და პროექტის მიმდინარეობის პერიოდში გამოიყენება მომუშავე პერსონალის დამხმარე სამეურნეო დანიშნულებისთვის.

დროებითი საველე საპირფარეშოს მოწყობა

მონასტრის ტერიტორიის გარეთ, დასავლეთით, სამუშაო პერსონალისათვის მოეწყობა ხის დროებითი ტუალეტი.

ობიექტი აღჭურვილი იქნება ხანძარსაწინააღმდეგო ბალონებით.

(ძეგლის ტერიტორიის მოწყობა იხ. სქემა-1).

● ძეგლზე მიღვომის გეგმა

ხარაჩოების მოწყობის სქემა

ძეგლზე, გაწმენდითი სამუშაოების შესრულების შემდეგ მოეწყობა არაინვენტალური ხის ხარაჩო, არაინვენტალური ხის ხარაჩოს მოწყობის უპირატესობა განპირობებულია საკონსერვაციო სამუშაოთა სპეციფიკის და ძეგლის ხასიათის და კონფიგურაციის არასტანდარტულობის გამო. ხარაჩო უნდა აიგოს წიწვოვანი ხის მასალისაგან.

ხარაჩოების კონსტრუქცია დაგეგმილია ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვით ისე, რომ იგი მოიცავს უსაფრთხოების ბარიერებს პერსონალისა და აღჭურვილობის ჩამოვარდნისაგან დასაცავად.

ხარაჩოების აგებისას გამოიყენება ის სპეციფიკური მეთოდები, რომლის მეშვეობით მიღწეული იქნება მისი კონსტრუქციული მდგრადობა ისე, რომ არ ექნება უშუალო ფიზიკური შეხება ძეგლთან. (ხარაჩოების მოწყობა იხ. სქემა-2)

ხარაჩოების აგების შემდეგ, უნდა მოხდეს მისი შემოწმება და მიღება ინჟინერ-პერსონალის მიერ. ექსპლოატაციის დროს, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ხარაჩო გაიწმინდება სამშენებლო ნარჩენებისაგან და მოხდება მისი ვიზუალური დათვალიერება.

ამ ხარაჩოს მეშვეობით განხორციელდება მომუშავე პერსონალის უსაფრთხო და შეუფერხებელი მიღგომა ძეგლის პრიორიტეტულ ნაწილებთან, მათი ფიზიკური გამაგრებისა და სახურავის მოწყობის პროცესში.

პერსონალისათვის, რომელიც იყენებს ხარაჩოებს, დაგეგმილია უსაფრთხოების კამრები.

მომუშავე პერსონალის პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობა

კომპანიის HSE პოლიტიკისა და სტანდარტების ჯეროვანი გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ ველზე მომუშავე პერსონალს ექნება სათანადო პირადი დამცავი აღჭურვილობა, რომელშიც შეიძლება შედიოდეს მეტალის ცხვირიანი ფეხსაცმელი, დამცავი შლემი (რისკის შემთხვევაში), დამცავი სათვალე (რისკის შემთხვევაში) და ტანსაცმელი ციგსა და სველ ამინდში.

მანქანების და მგზავრობის უსაფრთხოება

მგზავრობისას გრანტრის მიმღების პერსონალი დაემორჩილება სიჩქარის დადგენილ ზღვრებს და მუდამ დაიცავს საქართველოს საგზაო მოძრაობის კანონმდებლობის უველა სხვა დანარჩენ წესს.

